

შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია	3
სააღრიცხვო პოლიტიკა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	11
საკუთარი კაპიტალის მოძრაობა	12
მოგება-ზარალის დასახვას რულიშემოსავლის ანგარიშგება.....	13
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	15
ფინანსური ანგარიშგების სახსნა-განმარტები თიშენიშვნები	16

შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“-ს (ს/კ: 200199702) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“ რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N13 / მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6, არასაცხოვრებელი ფართი, სართული 1, შენობა-ნაგებობა, N23-24-26 საიდენტიფიკაციო კოდი 200199702. კომპანია რეგისტრირებულია 23/06/2006, რეგისტრაციის N6281/001

მისი ძირითადი საქმიანობაა: ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, სამკურნალო პრაქტიკა.

კომპანიის ხელმძღვანელია - თეიმურაზ გაგნიძე, 01023002864, ერთპიროვნულად. ასევე 100 % წილის მფლობელი გახლავთ: თეიმურაზ გაგნიძე, 01023002864

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა

პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2022 წლის 1 იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ზე გადასვლა:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეოთხე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე:

დარიცხვის მეთოდსა და ფუნქციონირებადისა წარმოადგენს პოლიტიკაზე.

გარდაფულად ინაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა,

ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში:

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი :

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

სამედიცინო შემოსავლები:

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიას სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით

ფინანსური ანგარიშგება—ეს არის გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს სასარგებლო

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

მომსახურების ვადის განმავლობაში, კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობა	20
დანადგარები	5-10
ავტოტრანსპორტი	7-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არის იჯარის ოპერაციები. იჯარის ფარგლებში გადასახდელი და მისაღები საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან

დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

სრული შემოსავლების ანგარიშგება:

ბას18-ის თანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

- შემოსავლის სახეებია :საოპერაციო და არა საოპერაციო.
- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.
შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოყენებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღიარდება ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით ე. ი. მესამე პირის ხელით მოღებული თანხების (დღგაქციზი) გარეშე;

- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იწარმოებდა უზრუნველყოფა ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
 - წმინდამოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია,

რომ მოცემული პერიადიდან კომპანიამ მიიღებს წინასწარ შეთანხმებული ეკონომიკური სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები,

მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით

. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგს აქვს გახდება გადასახადები თანხის ამოღება,

ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არ არის გორც უკვე სახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,

თუ წარმოიშობა მომავალ სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევის თანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსით აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად:

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში და ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“):

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები:

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ფინანსური მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობა				
	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	40150	141180	916603
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	172839	134030	0
სხვა პირებზე ავანსება და დასესხება დაცემული ფულადი სახსრები		0	0	0
მარაგები	3	108534	183737	193789
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		108534	183737	193789
საინვესტიციო ქონება		0	0	0

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი" უნივერსი "2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	2548	3019
ძირითადი საშუალებები	4	3237286	2362167	1229794
ინვესტიციები ძვილ მობილურ კომპანიაში		0	0	0
ინვესტიციების სხვა საწარმოთა წილობრივი ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		3558809	2823662	2343205
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	5	276743	379078	279381
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	223140	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	7	1141	0	0
გამომუშავებული შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი სასესიების სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი სასესიების სახსრები	8	95909	0	166775
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		596933	379078	446156
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	9	1000	1000	1000
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	2960876	2443584	1896049
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		2961876	2444584	1897049
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3558809	2823662	2343205
სულ მოკლევადიანი აქტივები		321523	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		537174	0	0

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

დირექტორი _____

თეიმურაზ გაგნიძე

საქმიანობის შედეგები 01.01.2022-31.12.2022 ჩათვლით პერიოდზე:

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12 /2022	31/12 /2021
ნეტო ამონაგები		23560 09	25079 20
საქონლის გაყიდვიდან	11	13695 7	0
მომსახურების გაწვიდან	12	22190 52	25079 20
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	13	- 10302 9	- 48739 6
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		22529 80	20205 24
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	60244
დასაქმებულთა ანაზღაურება	14	- 79549 8	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	15	- 22672 4	0
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	16	-1356	0
იჯარის ხარჯი	17	- 30780	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	- 68073 0	- 14783 56
სულ საოპერაციო ხარჯები		- 17350 88	- 14181 12
საოპერაციო მოგება		51789 2	60241 2

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტი თვალსაზრისით დანდას ვალუტის სახსრების გადაფასებიდან	19	-600	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	54877
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		51729 2	54753 5
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		51729 2	54753 5
სხვასრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების სრულწერი		0	0
სხვა (მათ შორის წლიური თბილისი დამკავშირება წარმოების უძრავი ქონების გადაფასების სრულწერი და აღდგენილი გადასახდელი ანაპროგრამები)		0	0
სხვასრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიან სრული შემოსავალი / (ზარალი)		51729 2	54753 5
საკუთარი კაპიტალის საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		24445 84	18970 49
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

განაწილებამ საკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2961876	2444584

დირექტორი _____

თეიმურაზ გაგნიძე

ფულადი სახსრების მოძრაობა 01.01.2022-31.12.2022 ჩათვლით პერიოდზე:

ფულადი სახსრების მოძრაობა	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	-128,535	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	-67,804	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	95,909	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		-100,43	0
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათეკვივალენტებზე		-600	-775423
ფულადი სახსრები დამათეკვივალენტების ანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		141180	916603
ფულადი სახსრები დამათეკვივალენტების ანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		40150	141180

დირექტორი _____

თეიმურაზ გაგნიძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, წინასწარ გადახდილი ვანსები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები დამათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში. უცხოური ვალუტა მოცემულია ეროვნული ვალუტის კურსით. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზება დიდ ღირებულებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი ნაშთი შეადგენს 40150 ლარს. აქედან ბანკში 30290 ლარი, სალაროში 9860 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები-

სავაჭრო დასახვადები ტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდება ნაშთი მოკლევადიან აქტივებად.

ყოველისამეუნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო დასახვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას (დებიტორული დავალიანება), რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმეობიექტური მტკიცებულების არსებობა. უიმედოვალის (საექვმო მოთხოვნები) არსებობის შემთხვევაში აღიაროს ხარჯად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. 2022 წლის ბოლომდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 172839 ლარს და ამ ეტაპზე არ არსებობს უიმედოვალა და აღიარების არანაირისა ფუძველი.

3. მარაგები: მარაგის თვითღირებულებამოიცავს:

შემენასთან დაგადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს,
აგრეთვე დანახარჯებს,
რომლებიც გაწეულია მისი მოცემულად გილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადოდ მომდგომარეობაში მოსაყვანად. სატრანსპორტო, დატვირთვა-
გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაშია ისახება თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. 2022 წლის მარაგის საბოლოო ღირებულებაა 108534 ლარი და მოიცავს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა მცირეფასიან ინვენტარს, ასევე ავთიაქებში გასაყიდად განთავსებული მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების მქონე მასალის ნაშთებს.

4. ძირითადი საშუალებები- ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის.

შპს „რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ძირითადი საშუალებების ნაშთი 2022 წლის ბოლოს შეადგენს 3237286 ლარს.

5. სავაჭრო ვალდებულებები: მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხებამთანხვით, რომლის გადახდაც მოუწევს შპს-ს ახლო მომავალში.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ანაქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისი მოვალეობები

საქონლის მოწოდების ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. კომპანიას კრედიტორულ დავალიანებებს წარმოადგენს - მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. სავაჭრო ვალდებულებები 2022 დასრულებული წლის მდგომარეობით შეადგენს 276743 ლარს.

6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ: შპს „რეპროდუქციული ცენტრი უნივერსი“-ს ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ შეადგენს პერიოდის ბოლოს გამოცხადებულ და დარიცხულ სახელფასო დავალიანებას, რაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 223140 ლარს.

7. საგადასახადო ვალდებულება - ესაა მიმდინარე ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ, რაც შეადგენდა 2022 წლის 31 დეკემბერს 1141 ლარს.

8. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები: კომპანიას 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ გააჩნდა სასესხო ვალდებულებები, 2022 წლის ოქტომბრის თვეში სს „თი ბი სი ბანკი“ დანაილო სესხი 100000 ლარის ღირებულების. 2022 წლის 31 დეკემბრამდე კი დაფარა ძირითადი თანხით 4091 ლარი. შესაბამისად საანგარიშგებო წლის ბოლოს შპს-ს სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 95909 ლარი.

9. სააქციო კაპიტალი: შპს „რეპროდუქციული ცენტრი უნივერსი“-ს გამოცხადებული კაპიტალი შეადგენს 1000 ლარს.

10. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი - ესაა საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება. საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგები საგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვარე ზერვებს. 2021 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი იყო 1896049 ლარი, 2021 წლის მოგებამ შეადგინა 547535 ლარი, შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის საბოლოო ნაშთია 2443584 ლარი.

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის მოგებამ შეადგინა 517292 ლარი, შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის საბოლოო ნაშთია 2960876 ლარი. რომელსაც ემატება 1000 ლარი გამოცხადებული საწესდებო კაპიტალის.

11. ამონაგები პროდუქტის რეალიზაციიდან - პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე აღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება. წლის განმავლობაში კომპანიის მიერ საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულმა მოგებამ შეადგინა 136957 ლარი. გაყიდვები დაანგარიშებულია სააფთიაქო რეალიზაციით.

12. ნეტოამონაგები მომსახურების გაწევიდან - მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახადელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა 2219052 ლარი.

13. გაყიდულის თვითღირებულება - 2022 წელს რეალიზებული სააფთიაქო პროდუქტის თვითღირებულებამ შეადგინა (103029) ლარი.

14. დასაქმებულთა ანაზღაურება - შრომის ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულებზე გაცემულ თანხას ხელფასის სახით საშემოსავლოს ჩათვლით. დასაქმებულთა ანაზღაურებამ 2022 წელს შეადგინა (795498) ლარი.

15. ცვეთადაამორტიზაცია -

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადიღირებულების სისტემატურსაფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვი

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სწრფივ მეთოდს,

რაც გულისხმობს ცვეთის ერთი დამავითანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად კომპანია იყენებს 5-20

% წლიურ განაკვეთს.

ცვეთის ხარჯმა 2022 წელს შეადგინა (226724) ლარი.

16. საპროცენტო ხარჯი- 2022 წელს გრძელვადიან სესხზე გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა (1356) ლარი.

17. იჯარის ხარჯი- ეს არის საოპერაციო იჯარა. გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართი ქალაქ ქუთაისში, იჯარის ხარჯი კომპანიამ 2022 წელს გასწია ჯამში (30780) ლარი.

18. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები აღიარდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. 2022 წლის სხვა საოპერაციო ხარჯის ჯამმა შეადგინა (680730) ლარი.

19. წმინდა შემოსულობა / დანაკარგი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან- 2022 წელს სავალუტო სახსრების გადაფასებით დაგროვებულმა ხარჯმა შეადგინა (600) ლარი.

20. ფინანსური ნაკადების ანგარიშგება: ფინანსური ნაკადების ანგარიშგება კლასიფიცირდება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად.

- საოპერაციო საქმიანობები მოიცავს მოგების მომტან საოპერაციო საქმიანობებს, ამციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. და მოიცავს:

შპს "რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი უნივერსი" 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

1. საქონლის გაყიდვიდან დამომსახურების გაწევიდან მიღებულ ფულად სახსრებს;
 2. სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულად სახსრებს;
 3. საქონლის დამომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილ ფულად სახსრებს;
 4. თანამშრომლებისათვის დამათისახელით გადახდილ ფულად სახსრებს;
 5. კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებები თმოდებულ გადახდილ ფულად სახსრებს.
- წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 2022 წელს შეადგენს - 128,535 ლარს.

• ფულადი სახსრების ნაკადების აინვესტიციის საქმიანობიდან მოიცავს გრძელვადიანაქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანაქტივის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს და აინვესტიციიდან მიღებულ მოგებას.

წმიდა ფულადი სახსრების აინვესტიციის საქმიანობიდან 2022 წელს შეადგენს - 67,804 ლარს,

• ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს:

1. აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულად სახსრებს,
2. გრძელვადიანის სესხების აღებას და დაფარვას.
3. სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები
4. დივიდენდის სახით განაწილებულ ფულად სახსრებს.

წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან 2022 წელს შეადგენს 95,909 ლარს, რაც არის გრძელვადიანის სესხის აღებას და დაფარვას შორის სხვაობის თანხა.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის ბოლოს შეადგენს 141,180 ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 წლის ბოლოს შეადგენს 40,150 ლარს.

გენერალური დირექტორი:

თეიმურაზ გაგნიძე

21 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო